საქართ. შემარც. ხოც.-ფედ. ხარეჯ. პარტია

წელიწადი მეხუთე

# ტრიბუნა

მთავარ კომიტეტის ორგანო

გაზეთ „ტრიბუნა“ ღირს
თვიურად 700,000 მან.
ცალკე ნომერი ყველგან 30,000 მან.
რედაქცია და კანტორა: ტფილისი, ხახახლის ქუჩა, № 6
ტელეფონი 10—84 — ფოსტის ყუთი, № 190.

განცხადების ფასი:
1 გვ. 200,000 მან. ...
4 „ 100,000 „
სამგლოვიარო განცხადება:
1 გვ. 2,000,000 მან.
4 „ 1,000,000 „

№ 473 შაბათი, მაისის 19 1923 წ. ყოველდღიური გაზეთი ფასი 30,000

ორშაბათს, 21 მაისს, საღამოს 6 ს, სახელმწიფო ოპერის შენობაში

დანიშნულია ტფილისის საბჭოს პლენუმის

გაფართოებული სხდომა

„ფაბრკომების“, „ზავკომების“ და ადგილკომების მონაწილეობით.

დღის წესრიგშია:

1. ამხ. ორჯონიკიძის მოხსენება საერთაშორისო მდგომარეობის შესახებ.
2. კომუნალურ განყოფილების გამგის მოხსენება განყოფილების მოქმედების და მომავალ მუშაობის გეგმის შესახებ.
3. მიმდინარე საკითხები.

საბჭოს ყველა წევრების დასწრება სავალდებულოა.

360 3—3 პრეზიდიუმი.

## ქართული ენისათვის

ქართული ენის საკითხი დიდ ყურადღებას იპყრობს. იგი გადასცდა ჩვენი ქვეყნის საზღვრებსაც. ფაქტთა „ანომალიამ აალაპარაკა ისინიც კი, ვინც კმაყოფილებით შესცქეროდა არსებულ მდგომარეობას. კომპარტიის საუკეთესო ხელმძღვანელნი და მუშაკნი, მათი ყრილობები ხაზს უსვამენ რუსული შოვინიზმის ზრდას და მოითხოვენ ნაციონალური კულტურისა და ენის მფარველობას.

კომპარტიის მე-12 ყრილობაზედ ხშირად ამბობდნენ სიტყვიდან საქმისაკენო. ეს მეტად სასურველია, მაგრამ ამის თქმის შემდეგაც შეიძლება სიტყვად დარჩეს სიტყვა „სიტყვიდან საქმისაკენ“. რომ ეს ასე არ მოხდეს, რომ ენის გატარებას რეალური სახე მიეცეს, ამისათვის სათანადო ნაბიჯების გადადგმაა საჭირო. მართალია დღეს კიდევ საკმაოდ აღმოჩნდებიან ისეთნი, რომელნიც ფარულად თუ აშკარად წინ აღუდგებიან ქართული ენის სახელმწიფოებრივ ენათ ქცევას. არ უნდა დავივიწყოთ ისიც, რომ ობიექტიური დაბრკოლებაც იქნება სახელმწიფოებრივ დაწესებულებათა ნაციონალიზაციისათვის. დღეს მრავალ საპასუხისმგებლო ადგილზე ქართულ ენის არ მცოდნე პირები არიან, რომელთა შეცვლა ქართული ენის მცოდნე პირებით არც ისე ადვილი საქმეა. მიუხედავად ამისა როგორც პირველი, ისე მეორე დაბრკოლება აუცილებლად უნდა იქნეს გადალახული. ქართული ენის [illegible] რომ მას უნდა დაექვემდებაროს შედარებით უმნიშვნელო დაბრკოლებანი.

ვინც შეგნებულად ხელს უშლის ქართული ენის გატარებას, ის შოვინისტია და შესაფერისად უნდა მოვექცეთ. ყველა უნდა გრძნობდეს, რომ საბჭოთა სახელმწიფოს კონსტიტუციის მუხლები ფარატინა ქაღალდი არ არის, რომელიც ცხოვრებაში არ ხორციელდება, არამედ ნება-სურვილია მშრომელი ხალხისა, რომლის გატარებისთვისაა მოწოდებული საბჭოთა მთავრობა. ყველამ უნდა გაიგოს, რომ საქართველოში დღეს არავის შეუძლია ძველი სულითა და გულით სეირნობა და საქმის კეთება „განუყოფელი რუსეთის“ იდეით.

ვისაც სურს თანამშრომლობა ჩვენთან, ვინც მოწადინებულია ჩვენში მუშაობას, მას ფართო ასპარეზი გაეხსნება, თუ კი მშრომელთა კეთილდღეობისათვის იმოქმედებს და გაიგებს ჩვენი ხალხის ენას, მის ნება-სურვილს, ხოლო ვინც საქართველოს მხოლოდ გეოგრაფიულ ცნებად სთვლის, სადაც შეიძლება ადგილობრივი ხალხის ანგარიშ გაუწევლად მუშაობა, იგი მიიღებს სასტიკ წინააღმდეგობას საქართველოს მშრომელი ხალხისაგან.

დღეს მაინც საბოლოოდ უნდა მოგვარდეს ქართული ენის უფლების საკითხი. რუსულის არა მცოდნე არ უნდა გრძნობდეს თავს გერის მდგომარეობაში. არ კმარა ქართულის მცოდნეთა ჩაყენება დაწესებულების სათავეში, არც ის კმარა, რომ განმეორებითი ცირკულიარები უგზავნოთ დაწესებულებათა უფროსებს ქართული ენის დაცვისათვის. ეს ყოველივე ისევ სიტყვის სფეროა და არა საქმის. ფაქტიურად მაშინ მოხდება დაწესებულებათა ნაციონალიზაცია, როდესაც დაწესებულებათა შტატი ქართული ენის მცოდნე იქნება და ქართული ენა კი სავალდებულო.

გადაუდებელ ამოცანათ უნდა მივიჩინოთ ქართული ენის აღდგენა. სიტყვიდან-საქმისაკენ დაუყონებლივ.

## ტელეგრამები

### ამხ. ლენინის ჯანმრთელობა.

(ბიულეტენი № 31).

**მოსკოვი. 16 მაისი. ტემპერატურა და მაჯისცემა ნორმალურია. საერთოდ მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია.**

პროფესორები: **ფორსტერი ნონნე, კრამერი,**
პრივატ-დოცენტი: **კოჟევნიკოვი.**
ექიმი **ელისტრატოვი.**
ჯანმრთელობის სახ. კომისარი: **სემაშკო.**

**ბერლინი** 17 მაისი. ამხ. ვოროვსკის ცხედარი მოასვენეს ბერლინში, სადაც ის მოათავსეს საბჭოთა მთავრობის საელჩოში. ცხედარი იმყოფება წითელ კუბოში, რომელიც დაფარულია დიდი წითელი დროშით. საელჩოს გარეშემო ჩამწკრივდა გერმანიის კომუნისტების საპატიო ყარაული, ანთებულ ჩირაღდნებით იქედან კუბო მიტანილ იქნა სადგურში. კუბოს მიჰყვებოდა ვეებერთელა პროცესია, რომელშიაც მონაწილეობა მიიღეს გერმანიის კომუნისტებმა და მუშებმა. ყოველ მხრივ ჩამწკრივებული იყვნენ საპატიო ყარაულები. ცხედარი მოათავსეს სადგურში მოსკოვში გამოსასვენებლად.

**ლონდონი** 14 მაისი. გაზეთი „მანჩესტერ გარდიენი“ რუსეთის მოთხოვნილებას 12 მილიონი ზონის დაწესების შესახებ აღიარებს დასაშვებად და გამოწვეულად ისეთივე განსაკუთრებული პირობებით, რომელთა გამო ინგლისმა ინდოეთის ნაპირებთან მარგალიტების საჭერად დააწესა 24 მილიანი ზონა. შემდეგ გაზეთი აღნიშნავს, რომ სავაჭრო ხელშეკრულებების გაუქმება მოყვება ინგლისის სავაჭრო ცხოვრების მოშლა და უმუშევართა რიცხვის გაზრდა. ინგლისსა და რუსეთს შორის შეთანხმების გარეშე მშვიდობიანობა ევროპასა და აღმოსავლეთში შეუძლებელია.

**მოსკოვი** 15 მაისი. მოსკოვის გარნიზონის ნაწილების კერზონის ნოტის შესახებ გამოტანილ რეზოლიუციებში მოითხოვენ: აღშფოთებით იქნას უარყოფილი ინგლისის თავხედური ნოტა. მოეთხოვოს ინგლისს თეთგვარდიელთა დახმარების აუცილებლათ შეწყვეტა, წართმეული გემების დაუყონებლივ დაბრუნება, ნიკოლოზ სისხლიანის მიერ ინგლისის ბანკებში შენახულ ფულების და განძეულობის საბჭოთა მთავრობისათვის გადაცემა, ბაქოს 26 კომისარის კვლელების პასუხისგებაში მიცემა, ინგლისის მიერ ცელიაკისა და ბუდკევიჩის გასამართლების გამოგზავნილი აღმაშფოთებელი ნოტის უკან წაღება, ანაზღაურება სამოქალაქო ომის დროს მშრომელი მასებისათვის როგორც უშუალოდ ინგლისის ჯარების მიერ ისე ინგლისის მთავრობის დაქირავებული თეთრ გენერლების მიერ მიყენებული ზარალისა.

წითელი არმია აცხადებს, რომ ის მთელი თავისი ძალებით, მხარს დაუჭერს ამ სამართლიან მოთხოვნილებებს.

### ინგლისის ნოტის გარშემო

#### კამათი რუსეთის პასუხის შესახებ ინგლისის პარლამენტში

**ლონდონი.** 15 მაისი. თემთა პალატაში საგარეო საქმეთა მინისტრის ამხანაგმა მაკ-ნეილმა მაკდონალის შეკითხვაზე მთავრობის სახელით განაცხადა, რომ მიუხედავად სავაჭრო ხელშეკრულებისა, რუსეთი განაგრძობდა პროპაგანდას ინგლისის წინააღმდეგ. მაკ-ნეილი ამტკიცებდა, რომ ინგლისის ნოტაში მოყვანილი ფაქტები სწორია. რუსეთის პასუხს ამ საკითხის გამო ინგლისის მთავრობა არადამაკმაყოფილებლად სთვლის. რუსეთის პასუხი ტრალერების შესახებ,—სთქვა მაკ-ნეილმა,—უფრო დამაკმაყოფილებელია, თუმცა ნოტაში არაფერია ნათქვამი კომპენსაციების შესახებ. პასუხი ინგლისის დაზარალებულ მოქალაქეთა შესახებ არ არის დამაკმაყოფილებელი, შემდეგ მაკ-ნეილმა განაცხადა, რომ ინგლისის შემდეგი პოლიტიკა არ იქნება აშენებული სარწმუნოების დევნის საკითხზე. ინგლისის მთავრობას არ აქვს განზრახვა აწარმოოს ხანგრძლივი მოლაპარაკება ან მოიწვიოს კონფერენცია.

დასასრულ მაკ-ნეილმა განაცხადა, რომ თუ ლონდონში ჩამოსვლის შემდეგ კრასინი მოისურვებს კერზონთან შეხვედრას, უკანასკნელი სიამოვნებით შეხვდება მას და დაუმტკიცებს ინგლისის მოთხოვნილების საბუძვლიანობას. თუ კერზონთან მოლაპარაკების შემდეგ კრასინი მოისურვებს მოსკოვის შეკითხვას, მას მიეცემა ამის საშვალება, მაგრამ რუსეთის პასუხისათვის დანიშნული იქნება გარკვეული ვადა.

მაკ-ნეილის შემდეგ გამოვიდნენ ლოიდ-ჯორჯი ასკვიტი და მაკდონალდი. ისინი მოითხოვდნენ, თუ შესაძლებელია, რუსეთთან სავაჭრო ხელშეკრულების დაცვას და მასთან უფრო მეტი კავშირის დაჭერას.

მაკდონალდმა განაცხადა: „თუ დამტკიცებულია, რომ მოსკოვი ფულებით და აგენტების საშუალებით უწყობს ხელს აღმოსავლეთში რევოლიუციონურ გამოსვლებს, ინგლისს არ შეუძლია ყურადღება არ მიაქციოს ამას.

თუ მოსკოვიდან ინგლისში პროპაგანდის მიზნით იგზავნებოდა ფულები, მთავრობას სრული უფლება აქვს განაცხადოს ენერგიული პროტესტი.

სარწმუნოების შესახებ მაკდონალდმა აღნიშნა რომ საჭიროა ფაქტების შემოწმება და განაცხადა რომ საბჭოთა სისხლის სამართლის კანონების ის მუხლები, რომლებითაც აკრძალულია სარწმუნოების სწავლება, გასაკიცხავია. შეთანხმების გაუქმება, მაკდონალდის აზრით ნიშნავს ომის განახლებას. რუსეთი კი ამ ომს აწარმოებს მთელი თავისი რევოლიუციონური გაფთრებით.

ლანსბერიმ განაცხადა, რომ ევროპაში არ არის არც ერთი ისეთი მთავრობა, რომელიც არ გამოიყენებს ძალას ამბოხების და აჯანყების ჩასაქრობად. საბჭოთა მთავრობა არის ერთად ერთი ისეთი მთავრობა მსოფლიოში, რომელიც თანახმაა განიარაღებაზე და სადავო საკითხების არბიტრაჟისათვის გადაცემაზე.

ლიბერალი სმიტი დაჟინებით მოითხოვდა, რათა არ იქნეს დარღვეული სავაჭრო ურთიერთობა რუსეთთან.

კენვორტიმ მოითხოვა მთავრობისაგან დაპირება იმის შესახებ, რომ მოლაპარაკება კერზონს და ამხ. კრასინს შორის გაგრძელდება პარლამენტის მუშაობის შეწყვეტის მთელი ხნის განმავლობაში, რათა პარლამენტს [illegible] სთქვას თავისი საბოლოო აზრი.

ტრევალიანმა განაცხადა, რომ მაკდონალდმა მიიღო მთავრობისაგან დაპირება იმის შესახებ, რომ უკანასკნელი არ მოითხოვს დაჟინებით ულტიმატუმის 10 დღის ვადას.

ლოიდ გრიმმა, დაამთავრა რა კამათი რუსეთის საკითხის შესახებ, განაცხადა, რომ ჯერ კიდევ დარჩა დრო ბრიტანეთის ყველა მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად.

**ლონდონი.** 16 მაის. პარლამენტში გამართულ კამათის შესახებ „მანჩესტერ გარდიენი“ სწერს: „კამათი ადასტურებს ეჭვს, რომ კერზონის ნოტა გამოწვეულია საბჭოთა მთავრობის მოსპობის სურვილით. ჩვენ ვუბრუნდებით 1919 წლის დანაშაულობრივ სისულელეს. მაკ-ნეილის მიერ რუსეთის პასუხის უარყოფა ნიშნავს იმას, რომ მთავრობას სურს განხეთქილება. რუსეთის პასუხი ყოველივე შესაძლებლობას იძლეოდა ულტიმატუმის უკან წაღებისათვის მაგრამ ულტიმატუმი რჩება, თუმცაღა ვადა გაგრძელებულია, კრასინს საშვალება ექნება მოისმინოს ის, თუ კერზონი რამდენად მიზანშეწონილად სთვლის თავის მოთხოვნილებებს.

**ლონდონი.** 15 მაისი. „დეილი ექსპრესის“ კორესპოდენტი ანგარიშში მინისტრთა კაბინეტის გუშინდელი სხდომის შესახებ ამბობს, რომ თუმცა რუსეთის ნოტა არ არის სავსებით დამაკმაყოფილებელი, მაგრამ ის კითხვები, რომლებიც სავსებით არ გამოურკვევია საბჭოთა მთავრობას. განხილული იქნება კრასინთან ერთად.

**ლონდონი.** 15 მაისი. გაზ. „დეილი ჰერალდი“ სწერს: „რუსეთის მასებმა მიიღეს საბჭოთა წყობილება, რომელიც მეტად საინტერესო ცდას წარმოადგენს. ამ ცდას უნდა მიეცეს თავისუფლება, კონფლიქტის გადაჭრის საუკეთესო საშუალებას წარმოადგენს შეთანხმების მიღწევა და სადავო საკითხების განხილვა კონფერენციაზე. ამ აზრს დაიცავს პარლამენტში მუშათა პარტია“.

**ლონდონი.** 15 მაისი. საღამოს გაზეთების ცნობით, რუსეთის ნოტამ საყოველთაო კმაყოფილება გამოიწვია.

**ლონდონი.** 15 მაისი. დღეს თემთა პალატაში ირჩეოდა რუსეთის საპასუხო ნოტა. ყველა წრეები აღნიშნავენ, რომ ნოტა ზომიერ კილოთი არის შედგენილი.

**ლონდონი.** 15 მაისი. ამხ. კრასინი უკვე ლონდონში იმყოფება.

**ლონდონი.** 15 მაისი. გუშინ მაკდონალდმა და გენდერსონმა მიიღო ინგლისის სარწმუნოებრივი თემების დელეგაცია. დელეგაციამ პროტესტი განაცხადა ინგლისის მთავრობის პოლიტიკის გამო რუსეთის მიმართ. მაკდონალდმა უპასუხა დელეგაციას; რომ მუშათა პარტია სავსებით იზიარებს დელეგაციის პროტესტს.

### ბონარ-ლოუ ლონდონში ბრუნდება

**ბორდო.** 15 მაისი. ბონარ-ლოუ ბრუნდება ლონდონში.

**ლონდონი.** 14 მაისი. საბჭოთა რუსეთის პასუხი ინგლისის მთავრობის მემორანდუმზე დღეს მიიღეს ლონდონში. პოლიტიკურ წრეებში ხაზგასმით აღნიშნავენ, რომ საბჭოთა მთავრობის პასუხი შედგენილია თავაზიან და მშვიდობიან კილოთი, ნოტაში დაცულია რუსეთის ღირსება. ლონდონის პოლიტიკური წრეები საბჭოთა მთავრობის არგუმენტაციას ყურადღების ღირსად აღიარებენ. ხვალსაც ამოთი მთავრობა კერზონის თავმჯდომარეობით შეუდგება რუსეთის ნოტის განხილვას. დარწმუნებული არიან კონფლიქტი აცილებული იქნება, მიუხედავათ უკიდურეს მემარჯვენეთა აგიტაციისა.

**ლონდონი** 14 მაისი. გაზ. „დეილი ნიუზი“ სწერს: „რუსეთი მეტად დიდია იმისათვის, რომ შეიძლებოდეს მისთვის ანგარიშის არ გაწევა ან მისი მოსპობა. საბჭოთა მთავრობა საკმაოთ მტკიცეა იმისათვის, რომ არ შეუშინდეს უცხო სახელმწიფოების აშკარა ან ფარულ ზრახვებს“.

## ახალი ამბები

— **აბანოები.** კომმუნალურმა განყოფილებამ აღძრა შუამდგომლობა პრეზიდიუმის წინაშე, რათა აბანოებზე დაწესდეს ტარიფი ოქროს კურსის მიხედვით.

— **წყალსადენი და ელექტრონი.** გასული თვის ანგარიშში წარმოებს ოქროს მანეთით 15 დღის განმავლობაში. ესე იგი 1—15 მაისამდე წარსული თვის საშუალო კურსით.

თუ დროზე არ იქმნა გადახდილი ან ნაგვიანებით, ესე იგი 15-დან 30-მდე, მაშინ გადამხდელს გადახდება საშუალო კურსით ამა თვის პირველ ნახევრისა.

— **ჭლექით დასნეულებულთა ბარაკი.** აღმასკომმა დაადგინა პირველ საავადმყოფოსთან გახსნას ჭლექით სნეულიანთა ბარაკი და მის გადასაკეთებლათ მიეცეს ჯანმრთელობის განყოფილებას 2 ათასი მანეთი ოქროთი 4 თვის ვადაში, 500—500 მანეთი თვეში.

— **გადასახადისაგან განთავისუფლება.** საბჭოთა მუშაკების კავშირის სექციის უმუშევართა სასარგებლოთ განზრახული სეირნობა განთავისუფლებულ იქმნა ქალაქის გადასახადისაგან.

— **საძოვრის გადასახადი.** საადგილ-მამულო განყოფილებას საფინანსო განყოფილებასთან ერთად დაევალა გადასინჯოს საძოვარ გადასახადის ნორმები და წარმოუდგინოს პრეზიდიუმს პროექტი მათი შემცირების შესახებ.

— **ბინის ქირები.** ბინის კანონის მე-2 მუხლში შეტანილ იქმნა შემდეგი შესწორებანი: პირველ კატეგორიის გადამხდელებს მიეკუთვნის მხოლოდ ის უმუშევარნი, რომლებიც სარგებლობენ სოციალური დაზღვევით უმუშევრობიდან და აგრეთვე ის უმუშევარნი, რომლებიც ირიცხებიან პროფ-კავშირის წევრებათ.

— **ტელეფონი.** მაზრასთან დამოკიდებულებისათვის ტელეფონის სარგებლობისათვის ტელეფონის ქსელის სამმართველოში ქალაქმა შეიტანა ავანსათ 200 მილიონი მანეთი.

— **უფასო აბანო.** ქალაქმა ნება მისცა ქუჩის ბავშვთა სახლის 150 ბავშს თვეში ერთხელ უფასოთ აბანოთი სარგებლობისა.

— **საბინაო განყოფილების შესახებ.** ყოველგვარი მუშაობა საბინაო განყოფილებაში შეჩერებულ იქმნას დროებით, ახალ განკარგულებამდე. წინადადება მიეცეს საბინაო განყოფილებას გამოუნახოს ბინები მხოლოდ ცენტრალურ პარტიულ და საბჭოთა ორგანოების მოწვევით ახალათ ჩამოსულ ამხანაგებს, მხოლოდ სახალხო კომისართა საბჭოს მიწერილობით.

— **ბირჟა.** ოფიციალური კურსი 18 მაისი: რუსის ოქროს თუმნიანი—16.700.000 მან., ჩერვონეცი—10.150.000 მან., საბჭოს ნიშნები—16.50[illegible] მან., გირვანქა სტერლინგი ეფექტივი—11.000.000 მან., ჩეკი—10.000.000 მან., დოლარი ეფექტივი—2.450.000 მან., ჩეკი—2.200.000 მანეთი, ოსმალური ქაღალდის ლირა—1.500.000 მანეთი ამიერ კავკასიის ბონებით.

# ეკონომიური ცხოვრება

**ბათომი.** 17 მაისი. საბჭოთა რუსეთის საგარეო ვაჭრობის სახალხო კომისარიატის ბათომის განყოფილებამ ამ დღეებში დაამთავრა ანგარიშის შედგენა ბათომის ბაზრის 1922 წლის და 1923 წლის პირველი მეოთხედის მუშაობის შესახებ. ამ ხნის განმავლობაში ბათომის ბაზარზე სჭარბობდა სამომხმარებლო საქონელი, გასული წლის უკანასკნელი მეოთხედის განმავლობაში საქონლის შემოზიდვა უცხოეთიდან შემცირდა და ბათომის ბაზარი დაიკავა თანდათანობით სამხრეთ-აღმოსავლეთ რუსეთმა. ყველა სამომხმარებლო საქონელიდან მთავარ როლს ბათომში თამაშობს შაქარი, შემდეგ მანუფაქტურა და სხვა.

1923 წლის პირველ მესამედში ბათომში გაძლიერდა მოთხოვნილება ფქვილზე, რომელსაც უკანასკნელ დროს დიდი გასავალი ჰქონდა. სულ კოლონიალური საქონელი შემოტანილია საშუალოდ 50 პროცენტი, ბათომის მთელ იმპორტთან შეფარდებით. ყველაზე უფრო მტკიცე საქონელი მთელი გასული წლის განმავლობაში იყო ტყავი, ფეხსაცმელი და რეზინის ნაწარმოები. ბათომიდან გაზიდულ საქონელში პირველი ადგილი უჭირავს ნავთის პროდუქტებს, რომლის პროდუქტიც ყოველთვიურად იზრდება.

მეორე ადგილი უჭირავს შავ ქვას, რომელიც შარშან გაზიდული იყო 500.000 ფუთამდე. ანგარიშში საყურადღებო ცნობებია მოთავსებული. ბათომიდან ოქროს გაზიდვის შესახებ, მაგალითად, 1923 წელს, ზაფხულზე უცხოეთში გატანილი ოქროს რაოდენობა უდრიდა თვიურად 25 ფუთს. განსხვავება ბათომში და სტამბოლში არსებულ ფასებს შორის აღწევდა 40 პროცენტს.

### ქალაქის გაფართოება.

**ბათომი.** 16 მაისი. ბათომის საბჭოს ქალაქის მოწყობის სექციამ დაამტკიცა ბათომის გაფართოების პროექტი. სექციამ დაადგინა იშუამდგომლოს სამხედრო უწყების წინაშე, რათა ის მიწები, სადაც გაუქმებული ფორტები მდებარეობს, გადაეცეს ქალაქს.

### არხების გაწმენდა.

**ბათომი.** 16 მაისი. ბათომის კომუნალური მეურნეობის ტეხნიკური თათბირის სასწრაფო სხდომამ მიიღო პროექტი ქალაქის არხების გასაწმენდად მიწამლები მანქანის საჩქაროდ გაკეთების შესახებ. მანქანის პროექტი შეადგინა ინჟ. ფოგელმა. მანქანების ნაწილები დამზადდება მეორე და მესამე საბჭოთა ქარხნებში, რაც გამოაცოცხლებს ამ ქარხნების მუშაობას.

# საქართველოს წითელ ჯარში

### საავიაციო დივიზიონში.

**პოლიტიკურ წრეებში.** პოლიტიკურ წრის ხელმძღვანელნი არიან ამხ. ხანდოშკო და ბურდული. დივიზიონში არსებობს ორი პოლიტიკური წრე: ერთი ავიო-დივიზიონის შტაბში და ჰაეროდრომზედაც.

**წრეებიში.** წითელ არმიელები გადიან საბჭოთა ხელისუფლების წყობილების პირველ დაწყებითი ცნობებს.

**სასპორტო წრე.** დივიზიონთან დაარსდა სასპორტო წრე, რომელიც თავის მხრივ დაიყო 4 განყოფილებად. წრეს ხელმძღვანელობს ამხ. ბლაგოდატინი. ქვედა განყოფილებები შემდეგია: ქოქსი, მძიმე ატლეტიკა, ფეხტოვანია და ფუტბოლი. წითელ არმიელები დიდი სიყვარულით მისდევენ წრეში მუშაობას.

**დრამატიული წრე.** წრეს ხელმძღვანელობენ ამხ. კალამკაროვი და გეგია. კვირაში ერთხელ იდგმება სისტემატიურად წარმოდგენები.

წითელ არმიელთა მონაწილეობით პიესები იდგმება განსაკუთრებლივ სარევოლიუციო და საგიტაციო რეპერტუარიდან.

**ანტი რელიგიური პროპაგანდა** ბრწყინვალეთ ჩატარდა. გამართულ იქმნა ანტირელიგიური წირვა, საღამოს გაიმართა წარმოდგენა. წითელ-არმიელებზე აღნიშნული საღამოები დიდ შთაბეჭდილებას სტოვებენ.

**სასანიტარო საღამო.** აგრეთვე ახალ გაწვეულთათვის გაიმართა სასანიტარო საღამო. დაიდგა პიესა „ექიმთან" წაკითხულ იქმნა მოხსენება მალარიის შესახებ.

**სიფილიტიკოსის გასამართლება.** აგრეთვე გაიმართა სიფილიტიკოსის გასამართლება, რომელმაც დიდი შთაბეჭდილება მოახდინა წითელ არმიელებზე.

**ჰლექიანის გასამართლება.** ამ დღეებში გაიმართება ჰლექიანის გასამართლება. დამნაშავის სკამზე სხედან: ჰლექიანი მუშა, რომელმაც არ გააფრთხილა ოჯახობა და დაავადმყოფა მთელი თავისი ოჯახი.

**გუნდის წრე.** დივიზიონში დაარსდა წითელ არმიელებისაგან ქართული გუნდი ამხ. გეგიას ხელმძღვანელობით.

# მუშათა ცხოვრება

აფხაზეთის პროფსაბჭოსა და დამზღვევ ორგანოებში სამუშაოდ საქართველოს პროფკავშირთა [illegible]

**განგებ მოგონილი მძიმე ავადმყოფობა.** წინააღმდეგ ზომათა მისაღებად, პროფსაბჭოთა სამდივნომ ტეკოს დაავალა შეიმუშავოს დებულება ყოველგვარ განგებ მოგონილ ავადმყოფობათა სახეგვართა მოსასპობად.

**უოფ. ბოქაული მიქაბერიძე** პროფკავშირის წევრობიდან გაირიცხა და მის თხოვნაც, თავის უფლებებში აღდგენის შესახებ უყურადღებოდ იქმნა დატოვებული.

**დასასვენებელ სახლთა** მმართველობაში პროფკავშირთა სამდივნომ საქართველოს პროფკავშირის წარმომადგენლად დანიშნა ამ. ამხ. ყუფლაშვილი ელბაქიანი.

**ავადმყოფთა კურორტებზე** გამგზავნ კომისიაში პროფკავშირთა წარმომადგენლად დაინიშნა ამხ. მაჩაიძე.

**კურორტებისათვის შტატის** შემდგენ კომისიაში საქარ. პროფკავშირთა წარმომადგენლად დაინიშნა ამხ. ბერბერაშვილი.

**შრომის ინსპექტორებად** საქართველოს პროფსაბჭოთა სამდივნომ დაამტკიცა: სამხრეთ-ოსეთში ამხ. ყაზბეგ აბაევი, თელავის მაზრაში—ამხ. ბერძენიშვილი, ზუგდიდის მაზრაში—ამხ. ბეჩვაია, დროებით—შორაპნის რაიონში—ამხ. დეკანოსიძე, ჭიათურის რაიონში—ამხ. მაჭარაშვილი.

**საქართველოს პროფსაბჭოთა სამდივნომ** ამ კავშირკომ რწმუნებულს (УЗНКТ) წინადადება მისცა, გადასინჯოს ინსპექტორთა შტატი შორაპნისა და ჭიათურის შრომის ინსპექციის გასაერთიანებლად.

## სრულიად საქ. განათლების მუშაკთა ცენტ. გამგეობის ანგარიში.

### საორგანიზაციო მუშაობა.

#### კავშირი ადგილებთან.

ახალმა გამგეობამ პროვინციასთან კავშირის გაბმას მიაქცია განსაკუთრებული ყურადღება, პროვინციასთან ცოცხალ კავშირის გასაბმელად გამგეობამ მიავლინა პრეზიდიუმის წევრნი განყოფილებათა მდგომარეობის ადგილობრივად შესასწავლად გამოკვლეულ იქნა სოხუმის (აფხაზეთი), ბათომის (აჭარა), ფოთის, ახალსენაკის. თელავის, ქუთაისის, ოზურგეთის და რაჭა-ლეჩხუმის სამაზრო განყოფილებანი.

#### ტფილისის მაზრის რაიონებად დაყოფა

სრულიად მოწყვეტილ ტფილისის მაზრაში რაიონულ ორგანიზაციების მოსაწყობად გაიგზავნა ინსტრუქტორი, რომელმაც მწყობრად ჩაატარა ორგანიზაციის საქმე. ამ ჟამად ტფილისის მაზრა დაყოფილია 9 რაიონად, თვითეულ რაიონში დაარსებულია ადგილკომი და საკონფლიქტო შემფასებელი კომისია.

### ფინანსები.

უმთავრესი ძირითადი ამოცანა არის ფინანსიურ საკითხის მოგვარება, არ არსებობდა არავითარი ფონდი და ხარჯთ-აღრიცხვა. ამ ჟამად სწარმოებს კუთვნილ პროცენტების გადარიცხვა, როგორც ცენტრ. კომიტეტის, ისე საქ. პროფკავშირთა საბჭოში. კულტგანათლების ფონდიდან 15 პროც. ყოველთვიურად ირიცხება საქ! პროფკავშირთა საბჭოს კულტ-განყოფილებაში. მიმდინარე წლის დასაწყისიდან გამგეობა გადავიდა ხარჯთ-აღრიცხვითი არსებობაზე.

### სტატისტიკა

საანგარიშო პერიოდში აღრიცხული მასალა რამდენიმე ფორმათაა გადამუშავებული, შედგენილია წევრთა რაოდენობის განაწილება სამაზრო განყოფილებებში და ადგილკომებში. სწარმოებს პროვინციიდან მიღებულ მასალების გადამუშავება.

### სახსარი ადგილკომების შესანახად.

განათლების კომისარიატთან გენერალურ კოლექტიურ ხელშეკრულების თანახმად, განათლების მუშაკთა საერთო ხელფასიდან (რესპ. მასშტაბით) 1 პროცენტი ეძლევა ცენტრ. გამგეობას ადგილკომების შესანახად, 1 პროცენტი კი კულტმუშაობის საწარმოებლად. ხსენებული თანხა ნაწილდება სამაზრო განყოფილებებზე.

### რკინის ლიანდაგის კვანძის კომიტეტი.

თანახმად სათანადო ცირკულიარისა, რკინის გზის ლიანდაგის კვანძის კომიტეტი მოეწყო რკინის გზის სკოლების თანამშრომელთაგან. კომიტეტი რწმუნებულის საშუალებით დაექვემდებარა ცენტრ. გამგეობას.

## განათლების მუშაკთა კავშირის ცენტრ. გამგეობის ანგარიში.

**სატარიფო—ეკონომიური მუშაობა, მუშაობის მიმართულება.** კავშირის სატარიფო-ეკონომიო მუშაობა სწარმოებდა ორი მიმართულებით: ერთის მხრივ განათლების კომისარიატის ფონდების შესწავლა, მეორეს მხრივ ღონისძიება შრომის ხელფასის გასადიდებლად.

**შრომის ხელფასის რაოდენობა.** იანვარში გაცემულია—9.600 კაცზე—65.625.470.000 მ., თებერვალში გაცემულია—9.600 კაცზე—96.485.580.000 მანეთი, მარტში გაცემულია 9.600 კაცზე—122.229.223.000 მან.

განათლების სახალხო კომისარიატის მეცნიერულ დაწესებულებათა და უმაღლეს სკოლათათვის მიღწეულია უმაღლესი განაკვეთი; უკანასკნელი დაახლოვებულია ისეთ განაკვეთთან, რომლის პირველ ხარისხს აქვს საქონლის ექვსი მანეთი.

**სახალხო მასწავლებელთა მდგომარეობა.** საქართველოს ტერიტორიის სარტყელებად დაყოფის გაუქმებამ მცირეოდნად მაინც გამოასწორა განათლების 5,438 პროვინციელ მუშაკის მდგომარეობა. კავშირმა მიიღო გადამწყვეტი ზომები, რათა პროვინციის მუშაკებმაც დროულად მიიღონ შრომის ხელფასი.

**გენერალური კოლექტიური ხელშეკრულება.** მარტში ხელმოწერილი იქნა გენერალური კოლექტიური ხელშეკრულება განათლების სახალხო კომისარიატთან. ეს ხელშეკრულება ჯერ კიდევ არ გატარებულა შრომის კომისარიატის რეგისტრაციაში, რადგან კავშირმა ვერ შესძლო შრომის ხელფასის პუნქტის საქონლის მანეთში გამოხატვა. მიღებულ იქნა რა მხედველობაში სახ. ფონდების მდგომარეობა, კავშირი ჯერ-ჯერობით დასთანხმდა შრომის ხელფასი გამომუშავდეს ყოველთვიურად მიცემულ ფონდებთან შედარებით, მაგრამ სახელმწიფო მინიმუმის არა ნაკლები.

**შემფასებელ-საკონფლიქტო კომისიები.** ახალ სატარიფო პოლიტიკასთან და კოლექტიურ ხელშეკრულებასთან შეფარდებით, შექმნილია შემფასებელ-საკონფლიქტო კომისიები თვითეულ ადგილკომთან.

**შრომის ნორმების გადასინჯვა.** ამ ჟამად კავშირის სატარიფო-საეკონომიო განყოფილებასთან ეწყობა კომისია პედაგოგიურ შრომის ნორმის გადასასინჯავად. ამ კომისიაში შევლენ ყველა ტიპის სკოლების და აგრეთვე პროვინციის წარმომადგენლებიც.

**საბინაო საკითხი.** საბინაო საკითხის მოსაგვარებლად კავშირმა შეიტანა ს. პ. კ. ს. საბინაო კოოპერატივში საპაიო თანხა.

**კავშირის წარმოების შესწავლა.** ამ ჟამად სატარიფო საეკონომიო განყოფილების მთავარი ყურადღება მიქცეულია კავშირის წარმოების შესასწავლად და როგორც პედაგოგიური, ისე ტეხნიკური პერსონალის ყოფის გასაუმჯობესებლად. შრომის ინსპექციასთან ერთად ჩატარდა მთელი რიგი საბავშვო სახლების, ბაღების და თავშესაფარ უქონებელ ბავშვთა კოლექტორის გამოკვლევა.

### კულტმუშაობა.

**კულტმუშაობა ადგილებზე.** გამგეობის კულტ-განათლების ყურადღება უმთავრესად მიექცა ადგილობრივ განყოფილებათა მუშაობის გამორკვევას და მათთან კავშირის დაჭერის საქმეს. აღნიშნული გზით კულტმუშაობა ადგილებზე საგრძნობლად გამოცოცხლდა.

# ქართველი და ევროპიელი ქალები

(დაუბეჭდავი წიგნიდან „ევროპა და საქართველო").

I

თანამედროვე ბებერ, დაჩანაკებულ-დახავსებული, კაპიტალისტურ-კონტრ-რევოლიუციონური ევროპის საშინელებით მქშინავ სულის შორეულისა და ახლო წარსულის თითქმის თვით ყოველმხრივათაც კი დასახასიათებლად, მთელი მისი ზნეობრივგონებრივი ავლა-დიდების ასაწონ-დასაწონად, სხვათა შორის, ქართველი და ევროპიელი დედაკაცთა უფლებრივი მდგომარეობის შედარებითაც ჩვენს მიზანს ადვილად მივაღწევთ.

ჩვენ ღრმად დარწმუნებული ვართ, რომ ეს ჩვენი წერილი, რომელიც, როგორც სათაურიდანაც ხედავს მკითხველი, ერთ-ერთ თავს წარმოადგენს „ევროპა და საქართველო"-სას, არა თუ მკითხველთა უმცირესობას, არამედ უმრავლესობასაც დააინტერესებს. აქ შედარებით ძლიერ ცოტას ვილაპარაკებთ ქართველ ქალებზე. ვიმედოვნებთ, მაინც ბევრს ვიტყვით ყველა იმათთვის, ვისაც კი სწორათ ნათქვამის სწორათ გაგების უნარი აქვს. ევროპიელი ქალების შესახებ კი ბევრ ფაქტებს აღვნიშნავთ; დიდხანს ვიმსჯელებთ იმ დამყაყებულ ჭაობზე, რომლის სახელია თანამედროვე ევროპა და მისი წარსული. რასაკვირველია, ვიმსჯელებთ ყოველივე ამის შესახებ იმდენად, რამდენადაც ეს შესაძლებელია გაზეთის ფელეტონის ჩარჩოებში. მაშასადამე, პირველად ჩვენ ქართველი ქალების შესახებ ავამეტყველებთ ფაქტებს და შემდეგ კი ევროპიელ დედაკაცების წამების ისტორიის განხილვას შევუდგებით

მთელი მზიურობა, ჰაეროვნება, ცეცხლ-სიკასკასე და სინაზე, სინარნარე, მოკლეთ—თინათინ-ნესტანობა—მთავარი თვისება, რომლითაც ასული ვაჟისაგან ან დედაკაცი მამაკაცისაგან განირჩევა-განსხვავდება, ქართველი ხალხის შემოქმედურმა ოცნებამ ხუთ-ექვს სტრიქონიან მშვენიერ ლეგენდის შექმნით „ახსნა-განმარტა". ლეგენდა იგი მეტყველებს ღმერთმა ქალი თუ ვით შექმნა!

ასე იწყება ეს ლეგენდა:

„ადამის გაჩენისა და სამოთხეში შეყვანის შემდეგ განვლო ორმა თუ სამმა დღემ და ღმერთი ადამს დააცქერდა, დააკვირდა და, რა მოწყენილი დაინახა, გაიფიქრა მან: „რად მოსწყენია ამ სულელსო!" თანაც გაიღიმა და მის ასეთ ღიმილისაგან წარმოიშვა ქალი, რომელიც მან ევას სახით ადამს მიგვარა. მიტომაც ქალი, როგორც ღვთის ღიმილისგან წარმოშობილი არსება, გაცილებით უფრო ნაზი, ნარნარი, ცქრიალა, სათუთი, ჯადო—გარეგნობისა და გრძნეული გრძნობისაა, ვიდრე მამაკაცი"—დასძენს ეს ლეგენდა.

როგორც ყველას, რასაკვირველია, მეც ეს ლეგენდა მშვენიერ ოცნების უმშვენიერეს ნაყოფათ მიმაჩნია. არც მეტათ და არც ნაკლებათ. მაგრამ, ამასთანავე. ამ მშვენიერ ოცნებით შექმნილ ლეგენდაში ისეთი სული მეტყველებს, ისეთი სახე მზიურობს და ისეთი ნეტარი ცეცხლი გუზგუზობს, რომელიც ძილას გვაძლევს, გულს გვიმხნევებს და გზას გვინათებს იმ დიდზე უდიადეს ახალ ქვეყანაში შესასვლელათ, რომელშიც განთავისუფლებული დედაკაცი ყოველმხრივათ ადამიანი იქნება მამაკაცსავით და მას უკანასკნელისგან მხოლოდ სქესით გაარჩევენ.

შევჩერდეთ ცოტა ხნით აღნიშნულ ლეგენდის ფსიხოლოგიურ ანალიზზე: ადამიანი ღმერთმა თიხისაგან შექმნაო გვატყუილებდნენ ერთ დროს „წმინდა მამები", ქალი კი მის ე. ი. ადამის გვერდისაგანო, სხვა სიტყვებით, იმავე თიხისგანო. ჩვენი ერის გენიათ შექმნილ ლეგენდით კი ქალი წარმოიშვა ღვთის ღიმილისგან, — ღიმილი ხომ სულის ასულია და გულის ტკბილი ცეცხლია, მხატვრულათ რომ ვსთქვათ? მაშასადამე, შევადაროთ ერთმანეთს თიხა და ღიმილი, მატერია და სულის ტკბილათ ღელვა. პირველი უხეშობა და სიტლანქეა, მეორე სინაზე და მზიურობა. ამნაირათ, ქალი ამ ლეგენდით არა თუ მამაკაცზე დაბლა დგას, არამედ არც მასზე მაღლაც. თვით სიყვარულშიც ჩვენში, ქალი მზეა და კაცი მთვარე.

აი ამიტომაც იყო, რომ ჩვენში ქალი სანამ საქართველო რუსეთის პროვინციათ არ იქცეოდა ე. ი. 1801 წლ. მამაკაცთან ერთათ თანასწორ უფლებებით სარგებლობდა. გადაშენებულს, უშვილოდ გარდაცვლილს ძველათ ჩვენში ისეთ მამაკაცს უწოდებდენ, რომელსაც სრულიად არ ყავდა შვილი, არც ვაჟი და არც ასული. ახლა კი გადაშენებულს ეძახიან ყველა იმას, ვისაც ასულები ყავს, მაგრამ ვაჟი კი არა. და ასერი ცვლილება მოხდა 1801 წლიდან ე. ი. რუსეთის გავლენით.

ჩვენ ისეთ სიტყვებს გარდა, როგორნიცა „ქალი" და „დედაკაცი" *) კიდევ სხვა სიტყვაც გვაქვს: „მეუღლე". ძველი ქართველი დედაკაცი მართლაც და ღირსეული მეუღლე იყო თავისი ქმრისა, გონება გამახვილებული და გულ გავსებული ძველი ქართველისა,—იმ ძველი ქართველისა, რომელსაც შეუწყვეტლად ცალ ხელში ხმალი ეჭირა სამშობლოსა და მშობელი ერის ზღვა მტერთან დასაცველათ და მეორეში კი გუთანი. გუთანი ხმალი და მეუღლე—აი ის უძლიერესი იარაღები, რომლითაც პაწია ქართველი ერი თავის „ცა-ფირუზ-ხმელეთ-ზურმუხტი" სამშობლო-საქართველოს დამოუკიდებლობას იცავდა. ნათქვამია, „ზოგიერთი ჭირი მარგებელიაო". ეს სიტყვები განსაკუთრებით ქართველ ქალს შეუძლიან თავი თავზე სთქვას. თუ ქართველი აცდა ყოველ იმ უბედურებას, რომელიც, როგორც ქვევით დაინახავთ, მის დებს ხვდათ წილად სხვა და სხვა ძველსა და ახალს ქვეყნებში. ეს აიხსნება მხოლოდ და მხოლოდ იმ გარემოებით, რომ ქართველ მამაკაცებს საჭორიკანოთ არ ეცალათ, რაკი შეუწყვეტლათ ომის ცეცხლში იფერფლებოდენ და მკვრეთით სდგებოდნენ სამშობლოს დასაცავათ. ვიმეორებ, საჭორიკანოთ არ სცალოდათ ჩვენს წინაპრებს და მიტომაც ვერავინ დაასახელებს ფაქტს, რომელიც დაგვანახვებს, რომ ჩვენში ქართველი ქალი ან კოცონზე დაუფერფლიათ ჯადოქრობისა ან კუდიანობისთვის (ведьма) ანდა სარზე ჩამოუცვამთ, ან კიდე ტომარში ჩაუსვამთ გველებთან ერთათ ცოცხლად და წყალში გადაუგდიათ.

სხვა ქვეყნებში ასეთი მოვლენები ახალ საუკუნოებშიაც კი ხშირათ ხდებოდა. მაგ. ინგლისში, საფრანგეთში, გერმანიაში და სხვ.

ძველს ქვეყანაში—საბერძნეთსა, ინდოეთსა, პალესტინასა და ჩინეთში ქალს ისე უყურებდენ როგორც ბოროტებას. ჰიპოკრატა „ამტკიცებს" რომ „ქალი არის ავადმყოფობა", ფილოსოფოსი სოკრატი ამბობს: ქალი არის წყარო ყოველნაირ ბოროტებისა, მისი მოწაფის—პლატონის რწმენით, ქალი—ბუნების შეცდომაა. ესე იგი ღმერთებმა ქალი შეცდომით შექმნესო; არისტოტელი—ეს პირველი მეცნიერი ფილოსოფოსი ქალს განსაზღვრავს, როგორც მიუღწეველი ან მთლათ ვერ განხორციელებული მამაკაცათ და სხვ. ლეგენდარული ქრისტეს შემდეგ ქალზე შეხედულება თანდათანობით გამწვავდა, ზოგი მას ეშმაკთა ბჭეთ ნათლავს, ზოგიც სიცრუეთა და სხვ. ბოლოს მეექვსე მსოფლიო კრებაზე იქამდის მივიდა სამღვდელოების აღვირახსნილობა, რომ შემდეგი საკითხი შეიტანეს გადასაჭრელათ. **„შეიძლება თუ არა ქალი ადამიანათ ჩავსთვალოთო?"** აი ასეთი კითხვა დასვეს ხუცებმა გადასაჭრელათ და ერთი წუთითაც არ დაფიქრდნენ იმას რომ მათი „ხორცსხმული ღმერთი"—ლეგენდალური ქრისტე,—ეს სიკვდილის და არა სიცოცხლის მოციქულ-მქადაგებელი, *) მათივე სიტყვით, მარიამისაგან ე. ი. ქალისგან იყო შობილი და მის მკერდზე აღზრდილი. აღსანიშნავია, რომ ამ კითხვის გადაჭრა ვერ შესძლეს მეექვსე მსოფლიო კრებაზე და მოხსნეს სხვა დროს გამოსარკვევათა და გადასაჭრელათ. მაგრამ ამ საკითხს მას შემდეგვეც დაუბრუნდნენ „გადასაჭრელათ".

---

*) მთელს მონარქისტულ რუსეთში თუ იყო ერთად-ერთი ისეთი დალოცვილი კუთხე, სადაც ქალი მამა-კაცთან ერთად თანასწორი უფლებით სარგებლობდა—ეს იყო ფინეთი, რომელიც დღეს დამოუკიდებელი და სუვერენული სახელმწიფოა.

*) ჩვენთვის ქრისტე სიკვდილის რელიგიის მატარებელია და არა სიცოცხლისა. სხვა სიტყვებით, მისთვის სიცოცხლე ბრძოლა, წარმატება და წინაშე დედობა-განვითარება კი არაა, არამედ ერთ წერტილზე გაყინვა და სიკვდილის ლოდინი.

**კულტმუშაობის ძირითადი მიმართულება და ნორმები.** კულტმუშაობას ძირითად მიმართულებას შეადგენს პედაგოგიურ პერსონალის პოლიტიკურად მომზადება და მისი კვალიფიციურ მდგომარეობის ამაღლება.

ამავე დროს ტეხნიკურ პერსონალთა შორის მუშაობა იკავებს ერთ მთავარ ადგილს კულტმუშაობის საერთო სფეროში.

არის ცდა განათლების მუშაკთა სახლების მოსაწყობად მაზრებში. ქუთაისში სახლი უკვე მოწყობილია.

**კულტგანყოფილების ფინანსიური ბაზა.** განათლების კომისარიატთან დადებულ გენერალურ კოლექტიურ ხელშეკრულების თანახმად ც. გამგეობა იღებს განათლების მუშაკთა მთელი ხელფასის 1 პროც. რომელიც კულტგანყოფილების ძირითად ბაზას შეადგენს.

**ექსკურსია.** კულტგანყოფილებამ დიდი ექსკურსია მოაწყო მოსკოვში საერთო განათლების მიზნით. ექსკკურსიაში მონაწილეობას იღებდენ სექციების მდივნები და პროვინციის აქტიური კულტმუშაკნი.

**ლიტერატურის მომარაგება.** განათლების მუშაკთა სახლთან მოწყობილია წიგნების ბაზა, რომელიც ღებულობს მოსკოვიდან ლიტერატურას. ლიტერატურა ნაწილდება სამაზრო განყოფილებებსა და კერძო წევრებს შორის თვით ღირებულების ფასში.

# ცოტა რამ გადასახადების შესახებ.

გადასახადების აკრეფა მეტად ცუდ მდგომარეობაშია.

ავიღოთ მაგალითად წყალსადენი, ღებულობს რა მოქალაქე წყლის ნახარჯ ანგარიშს, (უნდა აღვნიშნოთ, რომ ანგარიში მოდის ნაგვიანებით) მოდის აღმასკომში, რათა შეიტანოს ფული სალაროში. მაგრამ სალაროსთან დახვდება ხოლმე აუარებელი ხალხი და მოქალაქეს რიგში უხდება დგომა. რა უნდა ქნას მოსამსახურემ ან მუშა კაცმა, როდესაც დილაობით მუშაობაზე უხდება წასვლა და თქმა არ უნდა მას სრულიად შეძლება არა აქვს სალაროში ფულის დროზე შეტანისა, თანაც მეცადინეობა აღმასკომში სამ საათამდინ არის. ფულის მიმღები კი მხოლოდ ერთი მოლარეა, რომელიც ვერ ასწრობს გადასახადის მიღებას,

ამასობაში გადის გადახდის ვადა, დაემატება ყოველდღიური ჯარიმები.

ამ რიგათ მშრომელ მოქალაქეს უხდება ჯარიმების გადახდა.

იგივე სურათია სამოქალაქო გადასახადების სამმართველოებშიაც. მოლარენი დროზე ვერ ასწრებენ გადასახადების მიღებას გადამხდელ რიცხვთა სიმრავლის გამო, ამიტომ მოქალაქეებს უხდებათ ჯარიმების გადახდა, ისიც ასი პროცენტი და კიდევ ზედმეტი.

აუცილებლივ გამრავლებულ უნდა იქმნენ დროებით სალაროს მოსამსახურენი, რომ გადასახადების აკრეფა ნორმალურად სწარმოებდეს.

**ქართლელ-იმერელი.**

# აჭარისტანის მუშათა და გლეხთა ინსპექციის მუშაობა

**(აპრილის თვის განმავლობაში).**

დასრულდა ფაქტიური რევიზიები: რევტრიბუნალში, ნავთსადგურის საერთო კანცელარიის და სამნეო ნაწილში, აჭარისტანის სათბობ მასალის განყოფილებაში, მე-25 სანაპირო ათასეულში: ამიერ კავკასიის საგანგებო ჯარების და ჯანმრთელობის კომისარიატის ნაწილობრივი რევიზია ჯერაც არ დამთავრებულა.

რევიზიამ ყველა ზემოხსენებულ დაწესებულებებში აღმოაჩინა მრავალი დეფექტები, რომლის აღსაკვეცათ ინსპექციის მიერ მიღებულია სასწრაფო ზომები. ბათომის სავაჭრო ნავთსადგურის რევიზიის დროს დაპატიმრებულ იქნენ, სამნეო ნაწილის გამგე ა. ბოკუჩავა და მოქ. დ. კვაჭაძე—სიყალბისა და ბოროტმოქმედების ჩადენისათვის, რომელთა შესახებ გამოძიება ჯერ-ჯერობით არ დამთავრებულა. განსახილველად და დასამტკიცებლად ინსპექციაში შემოვიდა ხელშეკრულებები: კომუნალური მეურნეობის განყოფილებისაგან 14, მიწადმოქმედების კომისარიატისაგან 2, სახელმწიფო საამშენებლო მთავარ სამმართველოსაგან 4 და მთავარ მილიციისაგან 1. სულ 21 ხელშეკრულება დუქნების, ნაკვთი მიწების, აგარაკების და ახალციხის გზატკეცილებზე ხიდის შეკეთების შესახებ, ყველა ხელშეკრულებები დამტკიცებულ იქმნა. შემოვიდა განსახილველად და დასამტკიცებლად აგრეთვე შემდეგი ხარჯთ-აღრიცხვანი: კომუნალური მეურნეობისაგან 5, დამზღვევ სალაროდან 3, ნავთსადგურიდან 1 და განათლების კომისარიატიდან 1. სულ 10.

რევიზიის წესით არსებითად განხილულია და დამტკიცებულია 6 სხვა და სხვა ხასიათების ანგარიშები შემოსული შემდეგ დაწესებულებებიდან: სათბობ განყოფილებიდან 14.424,000 მან. დამტკიცებული- უცვლელად: თამბაქოს სექციისაგან შემოსული ანგარიშები დამტკიცებულია უცვლელად ცენტრალურ სტატისტიკურ ბიუროსაგან და განათლების კომისარიატისაგან—ორთავე დამტკიცებულია უცვლელად.

# სხვა და სხვა

**ქემალ-ფაშა ომის შესახებ.** მუსტაფა ქემალფაშამ ადანში წარმოთქმულ სიტყვაში განაცხადა: ომი დანაშაულობა იქნებოდა, სანამ ჩვენ ხალხს არავითარი უშუალო საფრთხე არა აქვს. მე ჩემს ქვეყანას წინადადებას მივცემ იბრძოლოს მაშინ, როდესაც დარწმუნებული ვიქნები, რომ ომი აუცილებელია. თუ კი მოკავშირეები არ მიიღებენ ჩვენ სამართლიან ზავის პირობებს, ისინი ჩვენ ომში ჩაგვრევენ, რომელიც, ჩემის რწმენით, უზრუნველყოფს ზავის უფრო უკეთეს პირობებს, ჩვენი არმიის მორალურ და მატერიალურ თვისებების წყალობით.

— **ბოიკოტი იაპონურ საქონლებს.** შენხაიდან მიღებული ცნობებით, იქ შემდგარ დიდ კრებაზე მიღებულ იქნა გადაწყვეტილება ბოიკოტი გამოუცხადონ იაპონურ საქონელს, რათა ამით აიძულონ იაპონია,—დაუბრუნოს პორტ-არტური ჩინეთს. ასეთივე მოთხოვნილებები იქნა წამოყენებული შამხაიში შემდგარ მრავალრიცხოვან დემონსტრაციებზე.

— **რეიხსტაგის სამგლოვიარო სხდომა.** იმ მომენტში, როდესაც ესსენის მიწაში უშვებდენ აღდგომის შაბათს დაღუპულ მუშათა გვამებს, გერმანიის რეიხსტაგში შესდგა დაღუპულთა ხსოვნის აღსანიშნავათ სამგლოვიარო სხდომა. სამარისებურ სიჩუმეში რეიხსკანცლერმა წარმოსთქვა სიტყვა დაღუპულთა შესახებ. მათ დაღუპვას ის სთვლის სიმბოლიურათ და მაჩვენებლათ იმ მდგომარეობისა, რომელშიაც გერმანია იმყოფება. კანცლერი ბრალს სდებს მათ დაღუპვაში საფრანგეთის მართველებს და ამბობს, რომ ამ მართველთა პირიდან ერთი სინანულის სიტყვაც კი არ თქმულა ტრაღიკული ამბების გამო და აგრეთვე მთელი ქვეყანა სდუმს ამის შესახებ. სანამ მტერი არ შეიგნებს გერმანიის სარეპარაციო ვალდებულებათა შესრულების ფარგლების შემცირების აუცილებლობას, მანამდე პასიური წინააღმდეგობა გაგრძელდება, თავისი სიტყვა კანცლერმა დაამთავრა,—ერთობისაკენ მოწოდებით.

— **ამერიკა არ შედის ხალხთა ლიგაში.** ოფიციალურათ აცხადებენ, რომ პრეზიდენტი გარდინგი უარყოფს ხმებს, შეერთებული შტატების საერთაშორისო მუდმივ სასამართლო ტრიბუნალში მონაწილეობის მიღების შესახებ, რომელიც შეერთებული შტატების ხალხთა ლიგაში შესვლის თანაბარი იქნებოდა. პრეზიდენტი გარდინგი იმ აზრისაა, რომ შეერთებული შტატების საერთაშორისო სასამართლო ტრიბუნალში შესვლის საკითხი სავსებით უმართებულო ახსნას ღებულობს ხალხთა ლიგის მომხრეთა მხრით, რომელთაც ეგონათ, რომ ამრიგათ ისინი შესძლებდენ ამერიკის მიმხრობას მათთვის სასურველ გადაწყვეტილებაზე. შეერთებული შტატების პოზიცია ხალხთა ლიგის მიმართ არ შეცვლილა.

— **ცეკვის ხანგრძლივობის რეკორდი.** ცეკვის ხანგრძლივობის რეკორდს მიაღწია ფრანგმა ცეკვის მასწავლებელმა ჯიმმიმ, რომელმაც მარსელის ტურნირზე თავის პარტნიორ ქალთან მარსელ ტრეფთან ერთად 48 საათი და 7 წამი იცეკვა; ამ ხნის განმავლობაში მან მხოლოდ სამჯერ დაისვენა თითო წამს—ოცდამეთოთხმეტე, ოცდამეცხრამეტე და მეორმოცე საათებს შემდეგ. ცეკვის მხრივ ამერიკამ საფრანგეთს გაასწრო, რადგან იმავე დღეს ამერიკაში შემდეგი სარეკორდო ციფრები იქნა მიღებული: ბალტიმარში—43 საათი, რის შემდეგაც მოცეკვავეები მაინც იქნენ წაყვანილი საავადმყოფოში სრული დაქანცვის გამო და ტეხასში—45 საათი. ამერიკულმა ხელისუფლებამ [illegible] რი იმის შესახებ. რომ ასეთი ტურნირები ვნებს ხალხის ჯანმრთელობას [illegible] ლო მიუღონ პოლიციური ზომებით.

— **გერმანიის მოსახლეობის ფიზიკური მდგომარეობა.** გერმანიის ერთი მსხვილი დამზღვევი სარეწაოს ექიმმა ფრანც ფიშერმა გამოარკვია, დაზღვეულთა სიმაღლისა და წონის საფუძველზე, გერმანიის თანამედროვე ეკონომიური მდგომარეობის გავლენა მისი მოსახლეობის ფიზიკურ მდგომარეობაზე. ფიშერის სტატისტიკური ცნობები გვიჩვენებენ, რომ გერმანიის მოსახლეობის სიმაღლე და წონა 1915 წლიდან ბლოკადის გავლენით სწრაფად დაეცა და უმდაბლეს წერტილს მიაღწია 1918 წელს. შემდეგ 1922 წლის დაწყებამდე მდგომარეობა რამოდენიმეთ გაუმჯობესდა, თუმცა 1922 წლის დაწყებისათვის მან ვერ მიაღწია 1915 წლის დონეს. მაგრამ შემდეგ 1922 წელს გერმანიის სასურსათო საქმის გაცუდებასთან ერთად სიმაღლემ და ჰასაკმა ისევ დაიწყო კლება; 1922 წლის დასასრულისათვის თითქმის ყველა ციფრები დაეცა და გაუთანასწორდა 1918 წლის დონეს. ამასთან აღსანიშნავია ფიშერს საქმე ქონდა, ასე ვსთქვათ, გერმანიის ადამიანთა ჯიშის საუკეთესო ეკზემპლიარებთან, რადგან როგორც ვიცით ავადმყოფებს და სუსტებს დამზღვევი საზოგადოებანი არ აზღვევებენ.

— **ცარცვა-გლეჯის ეპიდემია.** უკანასკნელ ხანებში ნიუ-იორკში შემჩნეული არის ცარცვაგლეჯის ნამდვილი ეპიდემია. დაცემა ხდება კერძო ბინებსა და სავაჭრო დაწესებულებზე შუადღისით; ნიუ-იორკის პოლიციის უფროსი იძულებული გახდა მთელი თავისი ძალები საბრძოლველად გაემზადებია და გამოითხოვა ნებართვა 600 კაციან დამატებითი პოლიციის კორპუსის შექმნისა. ღამ-ღამობით პოლიციის პატრულები მთელ ქალაქში დადიან, თუმცა მიუხედავათ ამისა დაცემა მაინც არ წყდება და ქალაქის ზოგიერთ ნაწილებში კიდეც იზრდება. რამოდენიმეჯერ ადგილი ჰქონდა დამცემლებისა და პოლიციელების ნამდვილ ბრძოლას, რომელიც დაჭრილ-დახოცილებით დამთავრდა.

# პარტიაში

— კვირას, მაისის 20, 12 საათზედ, „ტრიბუნის“ რედაქციაში დანიშნულია მთავარ კომიტეტის სხდომა. წევრებს ვსთხოვთ არ დააგვიანონ.

# საუბარი გლეხთან

**5. მრეწველობა, შეერთებული მიწადმოქმედებასთან.**

შევეხოთ ახლა ბელგიისა და საფრანგეთის მიწად-მოქმედებას. ინგლისში ზოგიერთი ცნობილი მეურნეები იღებდნენ დესეტინიდან, როგორც ვსთქვით, 120—140 და ზოგჯერ 200 ფუთს ხორბალს. ასევეა საფრანგეთშიაც, სადაც კი მიწები კარგი და ნოყიერია. მაგრამ საფრანგეთის მეურნეობა იმითა სდგას მაღლა და სწორ გზაზე ინგლისსაზე; რომ საფრანგეთში პურს სთესავენ მწირ, ჩვეულებრივ მიწებზედაც, რომლისთანებზე ინგლისელები თავის დღეში პურს არ დასთესენ. საზოგადოთ კი საფრანგეთი ხუთჯერ მეტს სთესავს პურსა, ვიდრე ინგლისი და ამიტომ წლიური მოსავალიც გაცილებით მეტია საფრანგეთში, ვიდრე ინგ-

ერთი სიტყვით, ძველი ქვეყნების შეხედულება ქალზე მთელი თავისი ძალა-გავლენით გადავიდა საშვალოსა და ახალ საუკუნოებში და ქრისტიანობის წყალობით შესუსტების, თანდათანობით მოსპობის მაგივრათ უფრო და უფრო ძლიერდებოდა. ჩვენ ვამბობთ, ქრისტიანობის ე. ი. ეკლესიის წყალობით მოხდა ეს ასე.

ქრისტეს რელიგიამ შეაჩერა მეცნიერების წინსვლა, განამტკიცა მონობა და დედამიწაზე შესაქმნელი სამოთხე ცაში აიტაცა, რითაც მეცნიერების წარმომადგენელნი ისეთვე მდგომარეობაში იყვენ მთელი ათეული საუკუნის განმავლობაში და **გაცილებით უარესშიაც**, როგორშიც დღეს პუანკარეს ან ფაშისტ მუსოლინის ხელში კომუნისტები იმყოფებიან.

II

ძველსა, საშვალოსა და ახალს საუკუნეებში ქალზე აღმოსავლეთსა და დასავლეთში არა ადამიანურ შეხედულებათა უდაბნოში ერთათ-ერთ მადლიან ოაზისს საქართველო წარმოადგენდა და, შეიძლება თამამათ ვსთქვა, დღესაც წარმოადგენს. ასე არ ყოფილიყო, დარწმუნებული უნდა ვიყოთ, რომ დიდი შოთა რუსთაველი თავის ღვთაებრივ „ვეფხის ტყაოსანში“ არ იტყოდა:

„ლეკვი ლომისა სწორია,
ძუ იყოს თუნდა ხვადიო“.

დიახ, ის ამას თამარ მეფის ხათრით კი არ ამბობს, როგორც ეს ბევრს ჰგონია, არამედ ქართველი ქალის მზე-სინამდვილისადმი აღგზნებამ მიიყვანა ის ამ შეგნებამდე. ამას გარდა, ჩვენში ზოგიერთები ამნაირათაც მსჯელობენ: „ლეკვი ლომისა სწორია, ძუ იყოს თუნდა ხვადიაო“—ამით იმის თქმა სურდა შოთა რუსთაველს, რომ მეფეს სიკვდილის შემდეგ ტახტის მემკვიდრეთ ვაჟი დარჩება თუ ასული სულ ერთია, ორთავენი გამოდგებიან. კეთილი და პატიოსანი. მაგრამ ვინც ასე მსჯელობს, მას რათ არ სურს იმის გაგება, რომ ქალი თუ კი ტახტზე ასვლით კარგათ მოიხმარს თავის უფლებას და ვაჟსავით გაუძღვება თავის სახელმწიფოს, მით უკეთესათ ყოველი ქალი შესძლებს თავის ოჯახში თუ მდიდრულ კოშკში, სასამართლოში ან რომელიმე დაწესებულებაში ისეთივე თანამდებობის შესრულებას, როგორსაც ჩვენ, მამაკაცები ვასრულებთ. მაშასადამე, შოთა რუსთაველის სიტყვებში დედაკაცისა და მამაკაცის უფლებრივი თანასწორობის იდეაა გატარებული და სხვა არაფერი. როგორც ვიცით, შოთა რუსთაველი სამშობლოში განათლების მიღების შემდეგ საბერძნეთში გაემგზავრა, რათა უმაღლესი განათლება მიეღო. საბერძნეთში კი ის, სხვათა შორის, სხვა და-სხვა ქვეყნების ბრძენთა ქალზე შეხედულებებს უეჭველად გაეცნობოდა; ეს შეხედულებები კი, როგორც ზემოთ დავინახეთ, ყველა უარყოფითია, მაგრამ შოთა რუსთაველმა მაინც და მაინც წინააღმდეგი ე. ი. დადებითი შეხედულება დაგვიტოვა ქალზე, ეგ მოხდა, ვიმეორებთ, მხოლოდ და მხოლოდ ქართველი დედაკაცის განსაკუთრებული მდგომარეობითა და ბუნებით.

დიახ, ეგ ასე გახლავს და სხვანაირათ არც შეიძლება იყოს. რასაკვირველია, ამით ჩვენ იმის თქმა კი არ გვსურს, თითქო ქართველი ქალები ისევე თავისუფალი იყვენ ყოველგვარ ცრუმორწმუნოებით გამოწვეული უსიამოვნებისგან, როგორც მამაკაცებიც. არა და არა! ჩვენ გვსურს დავამტკიცოთ მხოლოდ, რომ ქალთა დევნა-ჩაგვრა-დამცირებისთვის ჩვენში მასიური აჯანყება-ექსცესიებს ადგილი არ ქონია და არც ერთი ქართველი დედაკაცი არ დაუწვავთ ცეცხლში იმისთვის, რომ მან თითქო ჯადოსნობით თავის მეზობლის ბავშს კუჭში ქვები, ნემსები და ქინძისთავები ჩაუდო და მოკლა.

რაც შეეხება ჩვენს ხალხში გავრცელებულ ცრუმორწმუნოებას, ამის შესახებ ორ მოვლენას აღვნიშნავ: პირველი—ფშავ-ხევსურეთში მანდილოსნები ფეხმძიმობას უკანასკნელ ორ კვირას ტყეში მოლოზნილ ფაცხში ატარებდენ და, მათ მოლოგინებაზე არავინ ეხმარებოდა. რატომ?! რა მიზეზით?!

რასაკვირველია იმიტომ, რომ აღნიშნულ კუთხის მცხოვრებთა რწმენით, მანდილოსნებში ავი სული ზის ფეხმძიმობისასო. ასეთი რწმენა სხვა-დასხვა ხალხშიც (აღმოსავლეთსა და დასავლეთში) იყო გავრცელებული და, ჩვენის შეხედულებით, ჩვენი ერის ერთმა ნაწილმა მათგან შეითვისა. ქართველი ქალის ისტორიისთვის საჭიროა აღვნიშნოთ შემდეგიც: სხვა-და-სხვა ხალხში როს მანდილოსანი ტყეში მოლოგინდებოდა, თუ ვაჟი შეეძინებოდა 33 დღის შემდეგ დაბრუნდებოდა შინ და თუ „ავი სული“ (ასე უწოდებდენ ქალს), იმ შემთხვევაში 66 და უფრო მეტი ხნის გავლის შემდეგაც.

ჩვენში კი ასეთი ზნე-ჩვეულება თუ ცრუმორწმუნოება არ იყო, აქ ვაჟისა და ასულის დაბადებას ერთნაირათ ხვდებოდენ.

ეს ერთი მოვლენა.

ჩვენს პროვინციებში ცრუმორწმუნენი შესწამებდენ ზოგიერთ ქალებს ჯადო-ქრომას ან კუდიანობას, ასეთ ქალებს, მათი რწმენით, შეეძლოთ კატათ გარდაქცევა, მგელსა ან ტურაზე შეჯდომა და სწრაფათ ცხრა მთის გადავლა-გადაფრენა, ვისი მტრობაც ქონდათ, მათთვის საშინელი ავათმყოფობის შეყრა და სწრაფათ მოსპობა და სხვა.

აი ამის მაგალითი არის მხატრულ ლიტერატურაშიაც. (დავით კლდიაშვილის „ქამუშაძის გაჭირვება“.)

ასეთ მაგალითებს ჰქონდა ადგილი ჩვენს ცხოვრებაში, მაგრამ ერთხელაც არ მომხდარა, რომ ასეთ ჰორიკანობას ჩვენი მთავრობის ყურადღება გამოეწვიოს ან და მასიური აჯანყება მომხდარიყოს იმის გამო, რომ „კუდიან ქალებს“ ხელისუფლების წარმომადგენელნი არ სჯიდენ. ჩვენში იქნებ დღესაც მორწმუნენი, რომელთაც სწამთ ჯადოქრობა, კუდიანობა, გათვალვა და სხვ. მაგრამ მათ ირგვლივ ათასი და ათი ათასი ისეთი ომანები ცხოვრობენ, რომელნიც მასხრად იგდებენ მათ ცრუმორწმუნოებას.

ქართველი დედაკაცის სხვა ერთა ქალთათვის შესაშური მდგომარეობა მხოლოდ ჩვენი ერის განსაკუთრებული პირობებით შეიქმნა.

—საქართველო და ქართველი ერი თუ მეტის არა ორი ათეული საუკუნის გასაქანზე ალყა შემორტყმული ქალაქის მდგომარეობაში იყო. ქართველი ერი მეტად მცირე რიცხოვანს, ერთ მუჭა ხალხს წარმოადგენდა. მისი მტერნი კი მრავალ რიცხოვანნი იყვენ. მიტომაც ბრძოლა მუდამ უთანასწორო სწარმოებდა. ამ მიზეზით ქართველი ქალი დიდ მონაწილეობას ღებულობდა ომების წარმოებაში.

ტაციტი ამბობს: ძველი გერმანელი ქალები ომში ყოველთვის უმეშვეო მონაწილეობას ღებულობდენ მამაკაცებთან ეოთათ. მათ ვალდებულათ მიაჩნდათ თავიანთი თავი ომის ყოველნაირი საშინელებანი მოთმინებითა და უკანასკნელი ძალღონის მოკრებით გადაეტანათ. ისინი არა მარტო ხარებს შეაბამდენ ურემში, ამუშავებდენ, ან ცხენებს შეკაზმავდენ ან და იარაღს მიუტანდენ მეომრებს, არამედ თვითონაც იბრძოდენ. ხშირათ იყო ისეთი შემთხვევა, როცა მამაკაცები უძლიერეს მტერთაგან შემოტევით უკან დაიწევდენ, იშლებოდენ და დამორჩილებას გადასწყვეტდენ, მაგრამ ბრძოლის ასეთი სურათის დანახვაზე დედაკაცები მათ ისეთი ალტყინებით შესძახებდენ, ისე გაამხნევებდენ, მოუწოდებდენ ბრძოლის გასაგრძნობათა და მოწინააღმდეგის დასამარცხებლათ, რომ მეომრები თავგანწირვით შეტრიალდებოდენ გამარჯვებულ მტრისკენ, ლომები შეუტევდენ და მალე გამარჯვების ზეიმს ასტეხდენ.

რამდენათაც მშობლიური ერის ისტორია მაქვს შესწავლილი, შემიძლია ვსთქვა, რომ ძველი ქართველი დედაკაცი სწორეთ ტაციტის მიერ დახასიათებული ძველი გერმანელი ქალის ორეულს, მზგავსებს წარმოადგენს. ამიტომაც ჩვენი დედაკაცები ძლიერი იყვენ სულით და უტეხი ვნებით; თორემ ეს რომ ასე არ იყოს, იმ შემთხვევაში ქართველი ხალხი ახლა სრულიად გათქვეფილი იქნებოდა მახმადიან ერთა ტომებში.

გ. ა.

(დასასრული იქნება)

ლისში და გარდა ამისა საფრანგეთში გაშენებულია უამრავი ვენახები, ბაღები, ბოსტნები, დათესილია ტეხნიკური მცენარეები და სხვა. აქ არის მიზეზი იმისა, რომ ფრანგები არ საჭიროებენ უცხოეთიდან მოტანილს პურს თუ თივასა...

უარეს სურათს წარმოადგენს ინგლისის მიწად-მოქმედება შედარებით ბელგიასთან. ბელგიაშიაც დესეტინიდან იღებენ 135—140 ფუთს პურს, მაგრამ ბელგიაც იმითა სდგას ინგლისზე მაღლა, რომ ბელგიაში დამუშავებულია პურისთვის მთელი ნახევარი ბელგიის მიწებისა და გარდა ამისა 176.000 დესეტინიდან იღებენ მცირე მოსავლით 210 მილიონ ფუთ თივასა...

ასეთი შედარების შემდეგ დასკვნა ერთია. დიდმა ბრიტანეთმა რომ იმდენი და ისე დაამუშაოს თავისი მიწები, როგორც საფრანგეთში და მეტადრე ბელგიაშია დამუშავებული, მაშინ ბრიტანეთის მცხოვრებლებსაც სავსებით ეყოფოდა საკუთარი პური და მრეწველობის შემოსავალი კიდევ სხვა იქნებოდა! ხოლო, როცა ინგლისში ერთიორად გახდება მცხოვრებთა რიცხვი, ე. ი. 90 მილიონი, საკმაო იქნებოდა ისე დაამუშაონ მიწა, როგორც დღეს მისი ზოგიერთი გამოჩენილი მეურნენი ამუშავებენ თავიანთ მამულს. ეს კი მაშინ სულ ადვილი იქნება, რადგანაც მეურნეობისა და ტეხნიკის ცოდნა უმაღლეს ხარისხამდე იქნება აყვანილი.

დიდს და დაუფასებელს მაგალითებს გვაძლევს უფრო პატარა სახელმწიფოს, დანიის, მეურნეობა. 1864 წლის ომის შემდეგ, როცა გერმანიამ ძალით წაჰგლიჯა დანიის პატარა ხალხს შლეზვიგ- გოლშტეინი, მთელმა ხალხმა, დიდიან-პატარიანად, როგორც ერთმა კაცმა, თავს იდვა შრომა გაენათლებინა გლეხობა რათაც უნდა დასჯდომოდა ეს და იმავ დროს აეყვავა მთელს დანიაში ყოველგვარი წარმოება და მეტადრე გაეუკეთესებინა მიწა მისი საუკეთესოდ დამუშავებით, რადგანაც დანიის მიწა მეტად მწირი და უნაყოფოა. ნაყოფი მალე გამოჩნდა.

იმის მაგივრად, რომ ქალაქებში გაქცეულიყვნენ, დანიის სოფლების ხალხი დარჩა თავის ადგილზე და ხელი მიჰყო მეურნეობას. მთელს დანიაში ითვლება სამ მილიონამდე მცხოვრები, მათში მესამედი, ე. ი. ერთი მილიონი სცხოვრობს მიწის დამუშავებით და სარძეო-სატყეო საქმით. თუმცა დანიაში მიწა ძალიან მწირია, ისინი ამუშავებენ ორ მილიონ ნახევარზე მეტ დესეტინას და ამაში 1.027,270 დესეტინა პურის ყანებს უჭირავს. საშუალო მოსავალი აქ ფრიად დიდია, დესეტინა იძლევა 183 ფუთ ხორბალსა. უმთავრესი მიზეზები დანიის მეურნეობის ასეთი წარმატებისა შემდეგია: 1) ფართოდ გავრცელებული სამეურნეო ცოდნა; 2) მრავლად დაარსებული ადგილობრივი ბაზრები („იარმურკები") და 3) ფართოდვე გავრცელებული კოოპერატივები.

შეუდგეთ ეხლა იმის გარკვევას, თუ რა შეუძლიან მოგვცეს მიწამ. ავწეროთ და გავიცნოთ ამ მიზნით არსებული სამეურნეო ერთეულები, ბოსტნები თუ ფერმები ინგლისში, პარიზში, ჰოლანდიაში, იტალიაში, შეერთებულ შტატებში და სხვაგან...

იმ დროს, როცა მეცნიერება, მთავრობა და კერძო პირები უმთავრესად მრეწველობას მისდევდნენ და მარტო მას უწყობდნენ ხელს ყველაფრით მცირე ჯგუფი საზოგადოების, რომელთაც უყვარდათ ბუნება და მეურნეოა, თავგამოდებით ჰქმნიდნენ სრულიად ახალ, სხვაგვარ სისტემას მეურნეობისას.

მეცნიერება იშვიათად ეხმარებოდა მათ და, ხშირად უფრო შეცდომაში შეჰყავნდა იგინი, როგორც, მაგალითად, ლიბიხის ზოგიერთმა თეორიებმა. მეცნიერება ურჩევდა მათ შემოეღოთ მცენარეთ დაცვა, რომ მით მიეღოთ კარგი მოსავალი, ახალი მურნეობის შექმნელნი კი ღიმილით უსმენდნენ მათ და, პირიქით, ცდილობდნენ გამოცდილებით მიეღოთ ერთ და იმავე მიწიდან **ექვსი და ცხრა** მოსავალი. მეცნიერება უქადაგებდა მათ კარგ და ცუდ ნიადაგებზე, ახალი სისტემის მიმდევარნი კი თვით ქმნიდნენ და აკეთებდნენ ხელოვნურად ყოველგვარ ნიადაგს, ასე რომ ჰყიდნენ კიდეცა მსურველებზე. მეცნიერება ცდილობდა მიეღო დესეტინიდან 2—3 ათასი ფუთი ბალახი, ახალი სისტემის შემქმნელნი კი ამით არ კმაყოფილდებოდნენ და ცდილობდნენ მიეღოთ ხუთჯერ და ათჯერ მეტი, მარტო უბრალო ბალახის თესვით კი არა არამედ კომბოსტოს, სტაფილოს და სხვა უფრო ფასიანი მცენარეების თესვით. ასეთი იყო ცდა და მისწრაფებანი ახალი მიწად-მოქმედებისა და მის მიმდევრებისა!..

ადამიანთა საჭმელებში ყველაზე ძვირი ხორცია და ვინც ვეგეტარიანელი (ე. ი. მარტო სამცენარო საჭმელების მიმდევარი) არ არის, მას წელიწადში სჭირია 250 გირვანქა, ე. ი. დაახლოვებით ძროხის ერთი მესამედი. ინგლისსა და ბელგიაში კი, როგორც ვნახეთ, საჭიროა ერთი დესეტინა საძოვარი, რომ გამოკვებო ერთი ძროხა. ასე რომ, სოფელმა, რომელშიაც ვსთქვათ, ერთი მილიონი ხალხია, უნდა გამოყოს 300 ათასი დესეტინა, რომ გამოკვებოს სახორცე საქონელი ამოდენა სოფლისათვის! ეს კი იმას ნიშნავს, რომ ხალხი სრულიად უხნავუთესი დარჩეს და სიმშილით ამოწყდეს.

ახალი სისტემის მიმდევრები არც ამით კმაყოფილდებოდნენ. ამათ გამოიგონეს **„ხილოხი"** (დამწნილება) სიმინდის ბალახისა, რომელიც დესეტინაზე მოდის 8—9 ათასი ფუთი და შეუძლიან გამოკვებოს არა ერთი, არამედ 5 და 6 ძროხა!..

ასეთი სასწაულები ახალი მიწად-მოქმედებისა შეიძლება მოვიყვანოთ რამდენიც გნებავთ. მაგალითად, ვინმე ჩამპიონს მარტო სახლების სახურავებიდან ჩამოსული წვიმის წყლის მორწყვით მოჰყავდა საკვები ჭარხალი 7 ათასი ფუთი დესეტინაზე და ზოგჯერ 10—13 ათასი ფუთიც კი! ეს ცოტაა: პარიზს ახლო, ვინმე გროს მოჰყავდა დესეტინაზე 16 ათასი ფუთი სტაფილო და ჭარხალი, ხოლო სამი ათასი ფუთის მოყვანა ხომ ჩვეულებრივი საქმეა საფრანგეთში, საჭიროა მხოლოდ მიწის კარგად დამუშავება-გაპოხიერება. დასკვნა ცხადია: იმ დროს, როცა ას დესეტინა ბუნებრივ საძოვარს შეუძლიან გამოკვებოს მხოლოდ ასი ძროხა, ამავე ზომის მიწაზე მოყვანილი სიმინდის თუ სხვა ბალახის დამწნილებით შეიძლება გამოზარდო და გამოკვებო 700-ზე მეტი ძროხა.

**ივ. როსტომაშვილი.**

## ხელოვნება

### ივანე პეტრეს ძე სარაჯიშვილის იუბილეს დღესასწაული.

(სახელმწიფო ოპერის თეატრი).

ეს იყო დიდი დღესასწაული. თუ შეუძლია სთქვას ვანო სარაჯიშვილმა „მე მივსწვდი შემოქმედების სიხარულს", მაშინ მას თავის არტისტიულ ზეიმზე, არა ნაკლები სითამამით შეუძლია რომ სთქვას „მე მივსწვდი იმ სიხარულსაც, რომელსაც გვანიჭებს ხელოვანთ—საზოგადოების ღირსეული დაფასება". და მართლაც, საზოგადოება, დიდის სიყვარულით მოეპყრო ძვირფასი „ბულბულის" დღესასწაულს. ხალხით სავსე თეატრი, მხურვალე ოვაციები, ღირსეული დეპუტაციები, მთავრობის დიდი ყურადღება იუბილიარისადმი და სხვა მრავალგვარი დაფასება.

იუბილარი გამოვიდა თავისი რეპერტუარის საუკეთესო პარტიებში.

თუმცაღა შეიძლება ითქვას, რომ ეს სამი ნაწყვეტი იმ ოპერიდან, რომელშიდაც, თავისი იუბილეს სადღესასწაულო საღამოზე გამოვიდა ვანო სარაჯიშვილი,—არის მსახიობის საუკეთესო შემოქმედებითი სახეები? რასაკვირველია არა! არის მთელი რიგი ოპერებისა, სადაც ჩვენი ბულბული გვაჯადოებს თავის სიმღერითაც და როლის სცენიური გადმოცემითაც.

სარაჯიშვილის იუბილე აღნიშნა მთელმა ადგილობრივმა პრესსამ, სადაც გრძელ წერილებში იყო შეფასებული მისი ნიჭიერი შემოქმედება, მისი ნაყოფიერობის ხანგრძლივობა და პოპულიარობა.

საიუბილეო ზეიმი დაიწყო ოპერა „კარმენის" მეოთხე მოქმედების შემდეგ, სადაც იუბილიარმა, განსაკუთრებულ არტისტიულ გაწყობილების გამო, სრულიად მოხიბლა აუდიტორია, დონ-ხოზას როლის საგანგებო შესრულებით.

ქართული აკადემიური დრამის მხცოვანმა მსახიობმა ვასო აბაშიძემ, გახსნა სმზეიმო საღამო. სცენაზედ, დამსახურებული მსახიობის საფაროვ-აბაშიძის თანხლებით გამოდის იუბილიარი, რომელსაც სახელმწიფო ოპერის გუნდი „მრავალ-ჟამიერით" შემოაცილებს.

პირველი მილოცვა იუბილიარისადმი, მთავრობის მხრით ეკუთვნოდა საქართველოს მთავრობის წარმომადგენელს და სახალხო კომისართა საბჭოს დეპუტატს, რომელიც თავის მისასალმებელ სიტყვაში, გამოუცხადებს იუბილიარს, რომ მთავრობა, მისი ამ დიდი ხნის შემოქმედებითი მოღვაწეობის აღსანიშნავათ ანიჭებს მას „სახალხო მსახიობის" სახელწოდებას და ნიშნავს სტიპენდიებს ვანო სარაჯიშვილის სახელზე 1-ლ სახელმწიფო კონსერვატორიაში; ამასთანავე ერთად წარმომადგენელმა გადასცა იუბილიარს ფრიად მოზრდილი თანხა საჩუქრათ-მთავრობის სახელით.

შემდეგ ამისა გამოვიდა დეპუტაცია-დეპუტაციაზე. ვინ არ იყო იქ? თითქმის ყველა კულტურულ-სამეცნიერო დაწესებულებათაგან, რესპუბლიკისა გამოგზავნილი იყო ზეიმზე თავისი წარმომადგენელი. იყვნენ წარმომადგენლები ყველა თეატრებიდან, ძვირფასი საჩუქრებით და ყვავილებით. იყო მისასალმებელი სიმღერები თითქმის ყველა სასიმღერო საზოგადოებათაგან.

ესალმებოდენ ამავე სცენის ამხანაგები, ადმინისტრაცია, მუშები და მთელი ხალხი.

განწყობილება ამაღელვებელია გულწრფელი სიხარულით სცენაზედაც და დარბაზშიც.

დაბოლოს დასრულდა მილოცვები. სიტყვა ეკუთვნის ვანო სარაჯიშვილს, მაგრამ ჩვენს ბულბულს ლაპარაკი არ შეუძლიან, „მისი სიტყვა მხოლოდ სიმღერაა".. აღელვებული მსახიობი იმღერის ქართულათ ორ მისასალსებელ სიმღერას.

დღესასწაული გათავდა, მაგრამ არ გათავდება არასოდეს სიყვარულით აღსავსე პატივისცემა, გრძნობა ვანო სარაჯიშვილის ნიჭის თაყვანისმცემლებში.

**პ. ბებუთოვი.**

---

### მოსე თოიძე-ს სამხატვრო სტუდია.

მოსე თოიძემ გახსნა 1922 წ. იანვრიდან სამხატვრო სტუდია. მხატვარმა კარგად იცოდა, რომ ბევრი ახალგაზრდა მოსწავლენი არიან რომელთაც ხატვის დიდი ნიჭი აქვთ, ამასთანავე სურვილი სწავლისა. ხოლო საშუალება კი არა. აი სწორედ ამ მიზნით გახსნა მხატვარმა სტუდია და ფართედ გაუღო კარები ახალგაზრდობას სასწავლებლად მოსე თოიძემ. მის სიხარულს საზღვარი არა ჰქონდა, როდესაც სტუდიას დიდძალი ახალგაზრდობა მიაწყდა ხატვის სასწავლებლად. მოსე დიდის სიყვარულით და გულმხურვალებით უხვდებოდა მათ.

ბევრი მოწაფენი უფასოდ სწავლობენ სტუდიაში. უნდა ნახოთ რა სიყვარულით და სიხარულით დასტრიალებს მოსე მოწაფეთ. როგორის აღფრთოვანებით ასწავლის მათ.

პირველ წელს სტუდიაში სწავლობდა 80 მოწაფე. მოწაფეთა უმრავლესობა ქართველებია ორთავე სქესისა. მაგრამ რადგანაც მეორეს ამოსწავლო წლიდან 1923 წ. სწავლის მსურველი ბევრი აღმოჩნდა, მაშინ მოსე იძულებული იყო რომ სტუდია გაეფართოებინა. ამ წლიდან გახსნა მეორე განყოფილება, და მოიწვია მხატვარი ბაჟბეუქ-მელიქოვი, რომელიც ამ განყოფილებაში ესკიზების ნაწილს ხელმძღვანელობს. ეხლა სტუდიაში ირიცხება 165 მოწაფე და ესენი გაყოფილნი არიან ორ ჯგუფად. მთელი კვირის განმავლობაში ხატავენ ცოცხალი ნატურიდან, რომელიც ყოველთვის იმყოფება სტუდიაში. კვირაობით სწარმოებს ფერადებით ხატვა. რომელსაც ხელმძღვანელობს მოსე თოიძე.

ცოცხალ ნატურიდან ხატვას ხელმძღვანელობს ირაკლი თოიძე. აგრეთვე განსაკუთრებულ დღეებში მუშაობა სწარმოებს დეკორატიულ მხატვრობაზედ. სამშაბათობით იმართება საუბარი ხელოვნებაზედ.

უმთავრესათ მხატვრობაზედ იკითხება მოხსენებები. ეცნობიან ცნობილ მხატვართა შემოქმედებას, მათ ნაწარმოებთ და სხვა. აგრეთვე არის ესკიზების საერთო გარჩევა, რომელშიაც თვით მოწაფენი მხურვალე მონაწილეობას იღებენ. საზოგადოთ მოწაფენი დიდს უნარს იჩენენ სწავლაში, განსაკუთრებით ყურადღებას იქცევს მათი ნახატი ესკიზები. ქართ-ულ ცხოვრებიდან პორტრეტები. ადგილობრივი ტიპები თავის დამახასიათებელს ტანთსაცმელში. „ნატიურ-მორტ"-ები და სხვა რომლითაც სავსეა სტუდიის დარბაზები. მგონი ამა 20 მაისიდან აპირებს მხატვარი მოსე თოიძე თავისი სტუდიის მოწაფეთა სურათების გამოფენის გახსნას საქართველოს მუზეუმის შენობაში.

ფართო საზოგადოებას მიეცემა საშუალება ნახოს ამ სტუდიელთა მუშაობა. მ. თოიძის ატელიეში არის მის მიერ ფერადებით დახატული ქართველ მოღვაწეთა და პოეტთა სურათები.

არის სურათები პროფ. მელიქიშვილის, ი. გრიშაშვილის, დ. არაყიშვილის ობოლი მუშის და სხვების.

მხატვარმა ირაკლი თოიძემ დახატა ოთხი დიდი სურათი ტილოზედ, საქართველოს ყოფა-ცხოვრების ხასიათისა და „რევოლიუციის აპოთეოზი".

**ვ. ბუთ—ლი.**

---

### ლოტბარი ძუკუ ლოლუა.

25 წელიწადი შესრულდა მას შემდეგ, რაც საქართველოს სხვა და სხვა კუთხის სცენაზე პირველად და მკვეთრად გაისმა დასავლეთ საქართველოს სიმღერები და ქართველი საზოგადოების ყურადღება მიიზიდა თავისკენ. ამ დიადი საქმის ნამდვილ მოთავედ გვევლინება ძ. ძუკუ ლოლუა...

მან ჭეშმარიტად დაიმსახურა ქართველი ხალხის ასეთი ყურადღება...

1897 წლიდან—დღემდე ის საკვირველ გულმოდგინებით და არა—ჩვეულებრივი აღმაფრენით წვდება განსაკუთრებით დასავლეთ-საქართველოს ხალხურ მუსიკის წიაღს და ამ მხრივ შეაქვს ქართულ კულტურის სამუსიკო სალაროში ერთი თვალსაჩინო, წარუშლელი საგანძური...

ძუკუ ლოლუამ თავისი ხანგრძლივი მუშაობით, ცოდნით და გამოცდილებით შესძლო ღრმად ჩასწვდომოდა ხალხის ნამდვილ გულის სიღრმეს, მის იდუმალ სულისკვეთებას და გამოეცნო მთელი განცდა მის მიერ შექმნილ სიმღერებში: აი სწორედ ამაშია მთავარი ღირსება ძუკუ ლოლუას მოღვაწეობისა მუსიკის დარგში: ძუკუ ლოლუას სიმღერები როდი არიან მის მიერ შეთხზულ-შეკოწიწებული, ისინი უშუალო ანარეკლია ხალხის გულწრფელ ღიღინისა...

სწორეთ ამიტომ ძუკუ ლოლუა თავისი სამუსიკო აქტუალობით ხალხის ნამდვილი შვილია, მისი ჭეშმარიტი მესაიდუმლეა. ქართველთ საზოგადოება ღირსეულად აფასებს თავის შვილებს: მას არ შეეძლო გვერდი აეხვია ძუკუ ლოლუასთვის და თავისი ზნეობრივი სიუხვე არ ეგრძნობინებინა მისთვის: ამ დღეებში ის უმართავს მას იუბილეს (ფოთი, ბათომი, სოხუმში) სამუსიკო ასპარეზზე 25 წლის განმავლობაში დაუღალავ მუშაობის აღსანიშნავად...

**მ. კ.**

—:—

### რუსთაველის თეატრი

**ტეხნიკურ პერსონალის ბენეფისი.** ხუთშაბათს 17 მაისს, რუსთაველის თეატრში შესდგა ამავე თეატრის ტეხნიკური პერსონალის ბენეფისი; წარმოდგენილი იქმნა ა. შანშიაშვილის ფანტასტიური დრამა „ბერდო-ზმანია" მეოთხე მოქმედების გამოკლებით. მთავარ როლებს ასრულებდენ დე-დია ნ. დავითაშვილი, ბერდო ა. ვასაძე, ბედია ი. ზარდაშვილი, შური ჟორჟოლიანი. ამსრულებელნი საერთოდ დამაკმაყოფილებელნი იყვნენ. მოისუსტებდა ჟორჟოლიანი. საზოგადოებას ჯერ კიდევ ახსოვს ამ როლის საუკეთესო ამსრულებელი განსვენებული ნ. ციციშვილი. პიესა პირველად [illegible] წელს [illegible] დაიდგა ა. ახმეტელის რეჟისორობით. ეხლაც მისივე მიზანსცენებით იქნა განახლებული. [illegible] მოქმედების დასასრულს ახდილ სცენაზედ თეატრის მუშა-მოსამსახურეებმა საზოგადოებას აჩვენეს თავიანთი მუშაობა. მათ ხუთი წუთის განმავლობაში სასწრაფოდ გამოსცვალეს დეკორაციები და ყველა მოწყობილება სცენაზედ. მოძრავი სცენა ელექტრონის ძალით შემოტრიალდა მთლად და საზოგადოებამ ნახა უკანა კულისები და ყველა ის თუ რა ხდება სცენაზედ, როდესაც ფარდა ჩამოშვებულია, როგორ შრომობენ ეს უჩინარი მუშაკნი. მთელი ტეხნიკური პერსონალი სცენაზედ იყო თვით რეჟისორი თავისი თანაშემწით და ყველა თავის მოვალეობას ასრულებდა სისწრაფით. ტაშით დააჯილდოვა მობენეფისენი საზოგადოებამ. მეხუთე მოქმედების დაწყებამდე დარბაზი მთელი სინათლით განათლდა და ისე აიხადა ფარდა სცენაზედ გამოჩნდნენ მთელი ტეხნიკური შემადგენლობა, რომელთაც საზოგადოება ტაშით შეეგება. რეჟისორმა ფალავამ მოკლე სიტყვით მიმართა საზოგადოებას და დაასურათა ის დიდი შრომა მომუშავეთა, რომელიც მათ ნერვებ დაჭიმულთ სასწრაფოდ უხდებათ. მართალია აქტიორი თეატრის მეფეა, ურომლისოდ წარმოდგენიის დადგმა შეუძლებელია, მაგრამ ამ სცენის მუშაკთაც დიდი შრომა და თავიანთი წვლილი შეაქვთ პიესის კარგად დადგმაზე, ურომელთოთაც წარმოდგენის დადგმა შეუძლებელიაო. ამასთანავე ფალავამ გადასცა მათ მილოცვა აკადემიურ თეატრის დირექციის და დასის სახელით. უსურვა მათ მხნეობა და წარმატება. იყო საჩუქრებიც. სამწუხაროდ წარმოდგენას საზოგადოება ნაკლებად დაესწრო.

**ბუთ—ლი.**

### რეჟისორების თანაშემწეთა ბენეფისი.

შაბათს 19 მაისს რუსთაველის თეატრში გაიმართება რეჟისორების თანაშემწეთა დ. ანთაძის და ა. გველესიანის ბენეფისი. წარმოდგენილი იქნება პირველათ ამ სეზონში შილლერის ტრაგედია „ყაჩაღები". კარლ მოორის როლს შეასრულებს ალ. იმედაშვილი და ფრანც მოორის კი აკაკი ვასაძე.

ალექსანდრე გველესიანი გარდა სარეჟისორო მოღვაწეობისა, ცნობილია აგრეთვე როგორც ნიჭიერი დირიჟორი—მუსიკოსი.

როგორც რეჟისორი, იგი იქცევს ყურადღებას მთელ სეზონში, როგორც მარჯანიშვილის მარჯვენა ხელი.

აგრეთვე მას დიდი ამაგი მიუძღვის ქართულ ბავშების თეატრის ორგანიზაციაში.

დ. ანთაძეც ახალგაზდა სცენის მოღვაწეა და მანაც მიიქცია ყურადღება საზოგადოების, როგორც უანგარო მუშაკმა.

იმედია ჩვენი საზოგადოება დაესწრება აღნიშნულ ბენეფისს და მხურვალე ტაშის ცემით დააჯილდოვებს ახალგაზდა მუშაკთ.

**აპაშა.**

---

29 მაის წარმოდგენლი იქნება ჰოფმანსტალის „ელექტრას", ელექტრას როლს შეასრულებს ან. აბელიშვილი.

---

31 მაისს პლ. კორიშელის საბენეფისოთ წარმოდგენილი იქნება ვალ. შალიკაშვილის ორიგინალური პიესა „უნიადაგონი".

---

გიგო იორდანიშვილს, რომელსაც ამ ცოტა ხანში 25 წ. სასცენო მოღვაწეობის იუბილე გადაუხადეს, საქართველოს ცენტრალურ აღმსრულებელმა კომიტეტმა საჩუქრად მიართვა 100 მილიონი.

---

**გიორგი დავითაშვილის ბენეფისი.** სამშაბათს 22 მაისს რუსთაველის თეატრში დანიშნულია ქართული თეატრის ნიჭიერი მსახიობის გ. დავითაშვილის ბენეფისი. წარმოდგენილი იქნება შექსპირის უკვდავი ტრაგედია „ჰამლეტ", რომლის როლს პირველად შეასრულებს თვით მობენეფისე.

---

ამა თვის 20 მაისს, რუსთაველის თეატრში იმართება XXXV წლის იუბილე რუსის დამსახურებული მსახიობისა და რეჟისორის ალ. ტუგანოვის. ა. ტუგანოვი 10 წელიწადია, რაც საქართველოში მუშაობს. ზოგჯერ მიუღია მონაწილეობა ქართულ წარმოდგენებშიაც და საზოგადოთ მეგობრულად იყო და არის განწყობილი ქართველ საზოგადოების და ქართული საქმისადმი. ჩვენი მოვალეობაა მისი დღესასწაულის დღეს მიულოცოთ, როგორც ჩვენდამი მეგობრულად განწყობილ რუსის კულტურულ ძალას.

---

### წერილი რედაქციის მიმართ.

ამხ. რედაქტორო! ვინაიდან მე არც ერთ პოლიტიკურ პარტიაში არ ვმუშაობდი, და მხოლოდ თვალ-ყურს ვადევნებდი, რომელი პარტია უფრო ემსახურება მუშურ-გლეხურ ხელისუფლებას, მე დავრწმუნდი რომ მემარცხენე სოციალისტ-ფედერალისტთა სარევ. პარტია, არის მუშათა ინტერესების დამცველი, და ამისათვის მსურს გავხდე წევრი მემარცხენე სოციალისტ-ფედერალისტთა სარევ. პარტიისა.

**დავით კობახიძე.**

---

რედაქტორი—სარედაქციო კოლეგია.
გამომცემელი—მთავარი კომიტეტი.

ტირაჟი 1900 ნება დართულია ლიტერატურისა და გამომცემლობის მთავარმართველობის მიერ. № 290 საქართვ. უმაღლ. მეურ. საბჭ. პოლიგრაფ. ნყოფ. სტამბა კრუზენშტეინის ქუჩ. №.